საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)
OF GEORGIA

დავით აღმაშენებლის გამზირი **N80**
0102 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი:**1481(24/7)**
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: **info@ombudsman.ge**

09 ოქტ 2024 წ.

KA000072982363624

№ **2024/5317**

საქართველოს გენერალურ პროკურორს
ბატონ გიორგი გაბიტაშვილს

წინადადება

აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე [redacted] მიმოსვლის თავისუფლების დარღვევის შესაძლო ფაქტზე გამოძიების დაწყების თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.[1]

ბატონო გიორგი,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე [redacted] [redacted] [redacted] დაბადების თარიღი: [redacted], სამგზავრო დოკუმენტის [redacted] განცხადება, 2024 წლის 18 ივლისს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთასა და საქართველოდან გასვლაზე უარის თქმის თაობაზე. საკითხის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მხრიდან [redacted] მიმოსვლის თავისუფლების შესაძლო უკანონო შეზღუდვის ფაქტი.

ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებლის განმარტებით, 2024 წლის 18 ივლისს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა არ მისცეს შესაძლებლობა მას და მისი ოჯახის წევრებს, გადაეკვეთათ საქართველოს სახელმწიფო საზღვარი თბილისის აეროპორტში და თურქეთის რესპუბლიკის გავლით, გამგზავრებულიყო ბოსნია და ჰერცოგოვინაში. განმცხადებელი ასევე განმარტავს, რომ 2024 წლის 18 ივლისს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მხოლოდ სიტყვიერად უთხრეს, რომ ჰქონდა რაღაც პრობლემა, რაც მათთვის ცნობილი არ იყო და აღნიშნული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინიტროს ადმინისტრაციულ შენობაში უნდა გაერკვია. [redacted]ს განმარტებით, 2024 წლის 18 ივლისს, ქ. თბილისის აეროპორტში, როდესაც მას არ მიეცა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისა და თურქეთის რესპუბლიკაში წასვლის შესაძლებლობა, მას მხოლოდ სიტყვიერად უთხრეს, რომ არ შეეძლო საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა და საქართველოს ტერიტორიის დატოვება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საქართველოს სახელმწიფო საზღვარს გადაკვეთდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის მიმართულებით და გაემგზავრებოდა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში. თუმცა, რაიმე წერილობითი დოკუმენტი მისთვის არ გადაუციათ და არც პასპორტში/სამგზავრო დოკუმენტში გაუკეთებიათ შესაბამისი აღნიშვნა.

განმცხადებლის მიერ სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილ იქნა [redacted] და მისი ოჯახის წევრების სახელზე გაცემული, ანულირებული ავია ბილეთების ასლები, ანტალიის მიმართულებით,

2024 წლის 18 ივლისის გასაფრენი თარიღით.

ამასთან, განმცხადებლის მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი იქნა მის მიმართ საექსტრადიციო საქმისწარმოების მასალები. აღნიშნული მასალების თანახმად, [redacted] დაკავება განხორციელდა 2024 წლის 3 აგვისტოს, [redacted], ქ. თბილისში, [redacted] მიმდებარე ტერიტორიაზე, მშვიდ გარემოში, წინააღმდეგობის გაწევის გარეშე, მისი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ექსტრადიციის განხორციელების მიზნით, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქ. ბაქოს ნარიმანოვის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 11 მაისის [redacted] გადაწყვეტილების საფუძველზე.

წარმოდგენილი საექსტრადიციო მასალების თანახმად, [redacted] მიმართ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში სამართალდამცავი ორგანოების მიერ ბრალდებისა და ეროვნულ დონეზე ძებნის, ასევე მისი საქართველოს ტერიტორიაზე 2023 წლის 24 დეკემბერს შემოსვლის თაობაზე, საქართველოს მხარისთვის ცნობილი იყო 2024 წლის 13 მაისს.[2] ხოლო 2024 წლის 16 ივლისს საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს ასევე მიეწოდათ ინფორმაცია და მასალები (ინგლისურ ენაზე) [redacted] მიმართ ექსტრადიციის განხორციელებასა და თანამშრომლობასთან დაკავშირებით.

განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოებებისა და მისთვის 2024 წლის 18 ივლისის მდგომარეობით, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის შეზღუდვის სამართლებრივი საფუძვლების შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოითხოვა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა საფუძვლით არ მიეცა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის უფლება აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე [redacted] 2024 წლის 18 ივლისს.[3]

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2024 წლის 7 აგვისტოს მდგომარეობით, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე [redacted] მიმართ რაიმე სამართლებრივი საფუძვლით, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთაზე შეზღუდვა დაწესებული არ იყო.[4]

თუმცა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილ წერილში არ იყო მითითებული, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე [redacted] მიმართ დაწესებული იყო თუ არა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთაზე სამართლებრივი შეზღუდვა 2024 წლის 18 ივლისის ჩათვლით, და ასეთის არსებობის შემთხვევაში - რა სამართლებრივი საფუძვლით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, 2024 წლის 18 ივლისის ჩათვლით, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე [redacted] მიმართ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთაზე რაიმე სახის სამართლებრივი საფუძვლით შეზღუდვის დაწესების თაობაზე ინფორმაციის მოპოვების მიზნით, კვლავ მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, წარმოედგინათ ინფორმაცია 2024 წლის 18 ივლისის მდგომარეობით, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე [redacted] მიმართ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთასა და საქართველოს დატოვებაზე სამართლებრივი შეზღუდვის მოქმედებისა და სამართლებრივი საფუძვლის შესახებ.[5] თუმცა, შინაგან საქმეთა სამინისტროს მოთხოვნილი ინფორმაცია სახალხო დამცველის აპარატში ამ დრომდე არ მოუწოდებია.[6]

სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს იმ პირების, მათ შორის უცხოელებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების საქართველოდან თავისუფლად გასვლის უფლებას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე.[7] ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.[8]

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის თანახმად, თითოეულ ადამიანს უფლება აქვს დატოვოს ნებისმიერი ქვეყანა, მათ შორის საკუთარიც.[9] აღნიშნული უფლება არ ექვემდებარება რაიმე შეზღუდვას, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით, აუცილებელია სახელმწიფოს უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ზნეობის, ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლების დასაცავად და შესაბამისობაშია წინამდებარე პაქტით აღიარებულ სხვა უფლებებთან.[10]

უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირის საქართველოდან გასვლის უფლებას ასევე აღიარებს საქართველოს კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ", რომლის თანახმად, უცხოელს საქართველოდან გასვლაზე უარი შეიძლება ეთქვას სასამართლო გადაწყვეტილებით საქართველოდან გასვლის შეზღუდვის, მსჯავრდების, საქართველოს კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მისთვის დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობის ან/და საქართველოს საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.[11]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი დანაშაულად აცხადებს სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით საქართველოში კანონიერად მყოფი პირისთვის საქართველოდან თავისუფლად გასვლის უფლების განხორციელებაში უკანონოდ ხელის შეშლას, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.[12]

როგორც მოპოვებული ინფორმაციიდან ირკვევა, განმცხადებელს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის შესაძლებლობა არ მიეცა 2024 წლის 18 ივლისს, როდესაც მის მიმართ არ დასტურდება

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლით გათვალისწინებული, უცხოელისთვის საქართველოდან გასვლაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძვლების არსებობა და, შესაბამისად, მის მიმართ გამოყენებული არ იყო საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის აკრძალვა.

ამასთან, შინაგან საქმეთა სამინისტროს არ წარმოუდგენია ინფორმაცია, თუ რა სამართლებრივი საფუძვლით მოხდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე [redacted] საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის შეზღუდვა და ვინ წარმოადგენდა გადაწყვეტილების მიმღებ პირს. აღნიშნული საკითხების შეფასების მიზნით, აუცილებელია გამოძიების დაწყება და შესაბამისი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარება.

საგამოძიებო ქვემდებარეობის საკითხი

საქართველოს გენერალური პროკურორის 2019 წლის 23 აგვისტოს N3 ბრძანებით დამტკიცებული „სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის“ თანახმად, „სისხლის სამართლის საქმე განეკუთვნება შინაგან საქმეთა ორგანოების გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობას, თუ ამ ბრძანებით სხვა რამ არ არის დადგენილი“.[13] ამავე ბრძანების თანახმად, „პროკურატურის გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობას განეკუთვნება საქმეები პოლიციელის მიერ ჩადენილი დანაშაულის თაობაზე“.[14]

წინამდებარე საქმის ანალიზი

განმცხადებლის მიერ სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი მასალებისა და განმარტებების თანახმად, 2024 წლის 18 ივლისს, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე [redacted] შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების (მესაზღვრეების) მიერ, თბილისის აეროპორტში არ მიეცა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისა და საქართველოდან გასვლის უფლება, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობდა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოდან გასვლაზე უარის თქმის საფუძვლები.[15]

ამასთან, საქართველოს სამართალდამცავი ორგანოებისათვის 2024 წლის 18 ივლისის მდგომარეობით, ცნობილი იყო აზერბაიჯანის რესპუბლიკის მიერ [redacted] მიმართ ძებნის გამოცხადებისა და ექსტრადიციის განხორციელების მოთხოვნის შესახებ. თუმცა, მიუხედავად ამისა, 2024 წლის 18 ივლისს, [redacted], როგორც აზერბაიჯანის რესპუბლიკის მიერ ძებნილი ბრალდებული პირის დაკავება აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ექსტრადიციის განხორციელების მიზნით, არ განხორციელებულა. მას მხოლოდ არ მიეცა შესაძლებლობა, გადაეკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი მისთვის სასურველი მიმართულებით, საქართველოს სახელმწიფოს საზღვრის გადაკვეთაზე უარის თქმის მიზეზისა და სამართლებრივი საფუძვლის წარდგენის გარეშე და იგი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ექსტრადიციის განხორციელების მიზნით, დაკავებულ იქნა, დაახლოებით 2 კვირის შემდეგ, 2024 წლის 3 აგვისტოს.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იკვეთება, რომ 2024 წლის 18 ივლისს, თბილისის აეროპორტში, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე [redacted], სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, სავარაუდოდ, არ მისცეს შესაძლებლობა, გადაეკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი, კანონმდებლობით განსაზღვრული შეზღუდვის საფუძვლების არსებობის გარეშე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლოა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან ადგილი ჰქონოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 152-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას.

შესაბამისად, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოგმართავთ წინადადებით, დაიწყოთ გამოძიება 2024 წლის 18 ივლისს, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე [redacted] მიმოსვლის თავისუფლების სავარაუდო დარღვევის ფაქტზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 152-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

გთხოვთ, განხორციელებული რეაგირების შესახებ მაცნობოთ ამავე კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

[1] წინადადება მომზადებულია განმცხადებლისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე.
[2] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის 2024 წლის 13 მაისის [redacted] წერილი.
[3] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 25 ივლისის N[redacted] 31[redacted] წერილი.
[4] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 7 აგვისტოს [redacted] 24 02463204 წერილი.
[5] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 ნლის 10 სექტემბრის N202[redacted] 11 წერილი.
[6] 2024 წლის 2 ოქტომბრის მდგომარეობით.
[7] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 14, პუნქ.1.
[8] საქართველოს კონსტიტუცია. მუხ.14, პუნქ. 2.
[9] „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ" საერთაშორისო პაქტი, მუხ. 12, პუნქ. 2.
[10] იქვე, პუნქტი 3.
[11] საქართველოს კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ", მუხ. 49.
[12] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 152, ნაწ. 2.
[13] საქართველოს გენერალური პროკურორის 2019 ნლის 23 აგვისტოს N3 ბრძანება, დანართი, პუნქ. 1.
[14] საქართველოს გენერალური პროკურორის 2019 ნლის 23 აგვისტოს N3 ბრძანება, დანართი, პუნქ. 2.
[15] მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა 2024 წლის 25 ივლისს [redacted] და 10 სექტემბერს [redacted] წერილებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, წარმოედგინათ ინფორმაცია ასეთი საფუძვლის არსებობის შესახებ [redacted] მიმართ 2024 წლის 18 ივლისის მდგომარეობით, სახალხო დამცველის აპარატს გამოთხოვილი ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ არ მიეწოდა.

საქართველოს სახალხო დამცველი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან იოსელიანი